

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 026/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნანა ხეჩიკაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

2013 წლის 19 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა რ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ჩ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის სამოქალაქო საქმეზე მისი მოწინააღმდეგე მხარის, მოპასუხის წარმომადგენელი. საჩივრის ავტორის განცხადებით, გამოჩნდა მ. კ და სურს, ჩაშალოს საჩივრის ავტორის მოლაპარაკება მოწინააღმდეგე მხარესთან. ის მის სამოქალაქო დავაში იყო მოწმე. 2013 წლის 02 მაისს წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება სადაც მიუთითა, რომ ადვოკატი ნ. ჩ. მას ემუქრებოდა ციხეში დაჭერით და მასზე მოახდინა ფსიქოლოგიური ზემოქმედება. იმ დროისთვის ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და ადვოკატ ნ. ჩ.-ს მუქარის და ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. რ. ც. მოითხოვს, რომ ადვოკატ ნ. ჩ.-ს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევისა და შეურაცხყოფის გამო. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ნ. ჩ.-მ დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმცია და შეურაცხყოფა მიაყენა მას შესაგებელში შემდეგი სიტყვების მითითებით: „მან თვითნებურად გატეხა ნ. მოკიჩევის ბინა;“ და ა.შ. ასევე, ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით მიაყენა შეურაცხყოფა. შემდეგი ფრაზებით: „ადვოკატი რ. ც. რომ ყოფილიყო კეთილსინდისიერი თავის უფლებებში, ქმედებებში და მოთხოვნაში,“ „ამასთანავე მე ვერ აღვიქვამ კოლეგად პირს, რომელიც საკუთარი მიზნის მისაღწევად იყენებს ყველა მეთოდს და საშუალებას, კანონიერს, არაკანონიერს, მორალურს და ამორალურს“.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მხრიდან განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. კომისია ვერ გაიზიარებს მომჩივანი ადვოკატის მითითება იმაზე თაობაზე, რომ ადვოკატ ნ. ჩ.-ის მიერ შესაგებელში მითითებული შემდეგი ფრაზები: „მან თვითნებურად გატეხა ნ. მოკიჩევის ბინა;“ „მოსარჩელემ გატეხა ნ. მ.-ის ბინის კარი;“, „შეჭრილია;“ „საკუთარი არაკანონიერი მიზნის მისაღწევად“ არის შეურაცხმყოფელი და არღვევს კოლეგიალობის პრინციპს. ეთიკის კომისია იზიარებს ადვოკატ ნ. ჩ.-ის მითითებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ფაქტების მითითებისას დაეყრდნო საჩივრის ავტორის მიერ რუსეთში გაგზავნილი წერილის შინაარსს. შესაბამისად, ადვოკატს არ გამოუხატავს სუბიექტური მოსაზრება ან პიროვნული შეფასება მოწინააღმდეგე მხარესთან დაკავშირებით, არამედ ისაუბრა მხოლოდ ფაქტებზე. ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში მითითებული შეფასება: „მე ვერ აღვიქვამ კოლეგად პირს, რომელიც საკუთარი მიზნის მისაღწევად იყენებს ყველა მეთოდს და საშუალებას, კანონიერს, არაკანონიერს, მორალურს და ამორალურს,“ კრიტიკული შინაარსისაა, თუმცა არ სცილდება გამონატვის თავისუფლების ფარგლებს. გამონატული შეფასებები შეიძლება არ იყოს მოსაწონი და

¹ <https://gba.ge/pdf/5c519a198b294.pdf/5c519a198b294.pdf>

მისაღები იმ ადვოკატისათვის, ვისკენაც არის მიმართული, მაგრამ ეს შეფასებები არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს ადვოკატის ღირსების შელახვას.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ვერ დაინახა კოლეგიალობის დარღვევა და არ აღძრა დისციპლინური დევნა.